პოზიცია

# მეცნიერები ფედერალური მოწყობის წინააღმდეგ გამოდიან

## „ჩვენი წარსული, ისტორია უნდა გავიაზროთ და, აქედან გამომდინარე, მომავალი განვსაზღვროთ“

ნინო მიქიაშვილი

*საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ირგვლივ მსჯელობა გრძელდება – გასულ ხუთშაბათს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში კონფერენცია გაიმართა. ისტორიულად დასაბუთებული ფაქტებით მეცნიერები ფედერალური მოწყობის წინააღმდეგ გამოდიან და აცხადებენ, რომ ეს რუსეთისთვის, როგორც გამოუსწორებელი იმპერიალისტისთვის, იდეალური ვარიანტია, საქართველოსთვის კი – დაშლის წინაპირობა.*

მეცნიერების აზრით, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების საკითხზე მსჯელობისას უნდა გავათვითცნობიეროთ ქვეყნის ისტორიული განვითარება, რომელიც ყოველთვის ინტეგრაციისკენ, უნიტარული ქვეყნის შექმნისკენ იყო მიმართული, დაწყებული იმ პერიოდიდან, როცა საქართველოში სახელმწიფოებრიობა ჩაისახა.

მეცნიერებმა მცდარად შეაფასეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქვეყნის ფედერალურ მოწყობას საფუძვლად შეიძლება, დაედოს ბოლო საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა სამთავროებად და ცალკეულ სამეფოებად დაშლის „ტრადიცია“. მათივე განმარტებით, ეს აბსურდია, რადგან საქართველო დაიშალა მხოლოდამხოლოდ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საგარეო პირობების გართულების საფუძველზე.

### საქართველოს ფედერალური მოწყობა რუსეთისთვის იდეალური ვარიანტია

„თურქეთისა და ირანის იმპერიები, რომელთანაც საქართველოს მთელი თავისი არსებობის მანძილზე ურთიერთობა უხდებოდა (და რუსეთის სახით დღესაც უხდება), იმისკენ იყვნენ მოწოდებულნი, რომ საქართველო დაშლილიყო. დაშლილ ქვეყანაში კი უფრო ადვილად იბატონებ და შენს გავლენას უკეთ გაატარებ, ვიდრე ძლიერ და ერთიან სახელმწიფოში. დღეს, საქართველოს ფედერაციული მოწყობა რუსეთისთვის იდეალური ვარიანტია. ფედერალისტებს ჩვენი ქვეყნის წარსული ან არ ესმით, ან საერთოდ უგულებელყოფენ. ამ პროცესში სხვადასხვა საზღვარგარეთული ორგანიზაციები და ქვეყნებია ჩარ-

ჩვენმა ხელისუფლებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაჩქარებით მიიღო, რადგან რუსეთი ჩვენს ქვეყანაში შეიარაღებული ძალებით შემობრძანდა. მეცნიერის თქმით, ჩვენმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოესწრო მაინც, რომ პირველი რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, დოკუმენტი ხალხს დარჩენოდა, მაგრამ ამ კონსტიტუციის რეალიზაცია ვერ მოხერხდა, რადგან საქართველოს ოკუპაცია მოხდა.

„1990 წელს დამოუკიდებლობას კვლავ მივაღწიეთ და საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი ჩვენს წინაშე ისევ დადგა. ჩვენი სხვადასხვა დონის ხელისუფლება მემკვიდრეობის პრინციპს იცავდა. წინა თაობის მიერ, რაც კარგი გაკეთდა, მომავალი თაობისთვის მიღებული იყო და, ბუნებრივია, ამის გაუმჯობესებას ცდილობდნენ. პირველი რესპუბლიკის წლებშიც ეს პრინციპი მოქმედებდა. ტრადიციული გამოცდილების გამოყენება აუცილებელი იყო მაშინაც და დღესაც აუცილებელია. პირადად მე მიმაჩნია, რომ საქართველოს მესამე რესპუბლიკა (მე ასე ვუწოდებ, რადგან მეორე იყო საბჭოური, არასუვერენული რესპუბლიკა, რომელიც მაინც ჩვენი ისტორიის ნაწილია), პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა და მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის დადებითი, რაც პირველი რესპუბლიკის წლებში გაკეთდა“, – აცხადებს ალექსანდრე ბენდიანიშვილი, რომლის აზრითაც, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შერეული მოდელით უნდა მოხდეს.

### აფხაზეთის დაბრუნება საერთაშორისო მექანიზმების ამუშავებით უნდა მოხდეს

საერთაშორისო სამართლის თეორიის სპეციალისტმა, პროფესორმა ბიძინა სავანელმა, 47 პროფესორის სახელით, კონფერენციაზე აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის აღიარების უარყოფასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმის ამოქმედებაზე გარკვეული პოზიცია ჩამოაყალიბა.

მისი განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ მსჯელობა არადროულია, მაგრამ მათი პოზიცია ეხმიანება პროექტს, რომელიც არა-

სხვადასხვა მოცულობისა და უფლებების მქონე ჯუჯა სახელმწიფოები ჩამოყალიბდება.

სავანელის თქმით, აფხაზეთისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების პრეცედენტი კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობებს წააქეზებს, რომ რეგიონში ეთნიკური წმენდა ჩაატარონ იმისთვის, რომ დამოუკიდებლობა მიიღონ. მეცნიერს



დავით მუსხელიშვილი: „ფედერალისტებს ჩვენი ქვეყნის წარსული ან არ ესმით, ან საერთოდ უგულებელყოფენ“

უკვირს, რატომ აჩუმათებს საქართველოს ხელისუფლება იმ „კოზირს“, რომელიც საქართველოში ქართველთა ეთნიკურ წმენდასთანაა დაკავშირებული – უმრავლესობის ეთნიკურ წმენდასთან იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი არის უმრავლესობა.

47 პროფესორი, აზრით, აფხაზეთის დაბრუნების საერთაშორისო მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს – საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, რომელიც 55 წელს ითვლის, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო-

### ისეთ დათმობაზე არ უნდა წავიდეთ, რომ მომავალში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საშიშროება შეექმნას

პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის აზრით, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ისტორიას, ქართულ ხასიათსა და მენტალიტეტს, ფედერალიზმი, რომელსაც გვთავაზობენ, ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი და დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს.

„ფედერალიზმის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს გადარჩენის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა სწორედ ფედერალიზმზე გადის. ფედერალიზმის მომხრეთაგან ბევრი სრულიადაც არ არის ქვეყნის მტერი. ჩვენ ამ იდეის მომხრე ქართველებთან პაექრობა, დაჯერება და ისტორიული არგუმენტების მოტანა გვმართებს. მაგრამ ფედერაციის მომხრეებს შორის არიან ისეთი ქართველებიც, რომლებიც, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, რომ ვთქვათ, უცხო, მტრულად განწყობილი ქვეყნის შეკვეთას ასრულებენ. ცხადია, რომ მეზობელ დიდ ქვეყანას (და არც არამეზობლებს) ამ ტერიტორიულ მონაკვეთში ძლიერი, სტაბილური ქვეყნის არსებობა ხელს არ აძლევთ. რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფო წრეები, მოხელეები დიდი ხანია, ქართველებს ქვეყნის ფედერალური მოწყობის მოდელს სთავაზობენ. ამაზე დაფიქრება ხომ გვმართებს?! რატომ უნდათ რუსებს საქართველოს ფედერალური მოწყობა?“, – კითხულობს მეცნიერი.

როლანდ თოფჩიშვილის აზრით, ამავე დროს, ფედერალიზმის მომხრე ქართველებს, ქვეყნის ფედერალური მოწყობის პრინციპი ჯერ სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ აქვთ. ერთი შეხედულებით, საქართველომ (ქართველებმა) ფედერალური ურთიერთობა უნდა დაამყარონ აფხაზეთთან (აფხაზებთან) და „სამხრეთ ოსეთთან“ (ოსებთან). „შეიძლება თუ არა ოთხმილიონიანმა ქართველმა ხალხმა 90-ათასიან და 60-ათასიან აფხაზურ და ოსურ მოსახლეობასთან ფედერალური ხელშეკრულება გააფორმოს?! ერთნიც და მეორენიც ხომ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ?! იქნება ასეთი ფედერა-

(და რუსეთის სახით დღესაც უხდება), იმისკენ იყვნენ მოწოდებულნი, რომ საქართველო დაშლილიყო. დაშლილ ქვეყანაში კი უფრო ადვილად იბატონებ და შენს გავლენას უკეთ გაატარებ, ვიდრე ძლიერ და ერთიან სახელმწიფოში. დღეს, საქართველოს ფედერაციული მოწყობა რუსეთისთვის იდეალური ვარიანტია. ფედერალისტებს ჩვენი ქვეყნის წარსული ან არ ესმით, ან საერთოდ უგულებელყოფენ. ამ პროცესში სხვადასხვა საზღვარგარეთული ორგანიზაციები და ქვეყნებია ჩართული, რომელთაც ჩვენი წარსული არ აინტერესებთ. გერმანიაში ისეა, ესპანეთში ასე და საქართველოშიც ასე უნდა იყოსო, - ასეთი მიდგომა სწორი არ გახლავთ. ამ ქვეყნებს თავიანთი ისტორია და სპეციფიკური განვითარება ჰქონდათ. იმათ მაგალითზე ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საფუძველშივე მცდარად მიმაჩნია. ჩვენ ჩვენი წარსული, ისტორია უნდა გავიაზროთ და, აქედან გამომდინარე, მომავალი განვსაზღვროთ", - უთხრა „მთელ კვირას" ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა.

მისივე განმარტებით, საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალური მიმართულება იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ქართული სახელმწიფოებრიობა ყალიბდებოდა, ხოლო შემდეგ თვით ერთიანი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო, უძველესი დროიდან სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ინტეგრაციით ხასიათდებოდა. დავით მუსხელიშვილის თქმით, ეს იყო ბუნებრივი და ორგანული განვითარების გზა; ამიტომ არის, რომ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის კუთვნილი არც ერთი მეტრი მიწა, ქართველი ხალხის მიერ დაპყრობის შედეგად შეძენილი არ არის.

1918-1920 წლებში საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ პროფესორმა ალექსანდრე ბენდიანიშვილმა ისაუბრა. მისი განმარტებით, 1920 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შერეული მოდელი, რომელიც შეიცავდა როგორც ფედერაციის, ისე უნიტარიზმის ელემენტებს, რის შესახებაც საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომელიც

სპეციალისტმა, პროფესორმა ბიძინა სავანელმა, 47 პროფესორის სახელით, კონფერენციაზე აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის აღიარების უარყოფასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმის ამოქმედებაზე გარკვეული პოზიცია ჩამოაყალიბა.

მისი განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ მსჯელობა არადროულია, მაგრამ მათი პოზიცია ეხმიანება პროექტს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს და რომელიც ქვეყნის ფედერალურ მოწყობას ითვალისწინებს, რაც საბოლოო ჯამში საქართველოს დაქუცმაცებისკენაა მიმართული. მეცნიერის აზრით, ეს გზა საქართველოსთვის დამღუპველია და იმის ნაცვლად, რომ ლტოლვილთა დაბრუნების თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებს კარი ვუმტვრიოთ, ჩვენ ერთმანეთს ვუმტვრევთ კარს.

ბიძინა სავანელის განმარტებით, მათი პოზიცია დსთ-დან გამოსვლაში და ლტოლვილთა დაბრუნებაში მდგომარეობს, რაც ტერიტორიულ მოწყობას არ უკავშირდება. მეცნიერების აზრით, ამაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ლტოლვილები უპირობოდ დაბრუნდებიან; არასამთავრობოების პროექტში კი ყველაზე უკან ლტოლვილების დაბრუნების საკითხი დგას.

ბიძინა სავანელის თქმით, აფხაზეთისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, პერსპექტივაში საქართველოს სრული დაშლა ემუქრება. უახლოეს მომავალში ანალოგიური სცენარით მოვლენები შეიძლება ჯავახეთშიც განვითარდეს. იქ ქართველების ეთნიკური წმენდა ჩასატარებელი არ არის, რადგან ქართველები იქ, რეალურად, ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ. სომხები, როგორც ეროვნული უმრავლესობა, თითქმის ანალოგიურ სტატუსს მოითხოვენ. მეცნიერის აზრით, შეფარულად, ალბათ, ეს ისტორია ამ რეგიონის სომხეთთან შეერთების პერსპექტივას გვკარნახობს.

ბიძინა სავანელი აცხადებს, რომ პარალელურად, ანალოგიური სცენარით მოვლენები შეიძლება განვითარდეს ქვემო ქართლში, სადაც ჩვენი თანამოძმენი გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებიან. მეცნიერის პროგნოზით, შედეგად, უახლოეს 10-15 წელიწადში საქართველოს ტერიტორიაზე დე-იურედ,

ლისუფლება იმ „კოზირს", რომელიც საქართველოში ქართველთა ეთნიკურ წმენდასთანაა დაკავშირებული - უმრავლესობის ეთნიკურ წმენდასთან იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი არის უმრავლესობა.

47 პროფესორი, აზრით, აფხაზეთის დაბრუნების საერთაშორისო მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს - საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, რომელიც 55 წელს ითვლის, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო-შეიარაღებული ძალები კომპლექტდება ისე, რომ მასში შესაბამისი კონფლიქტური მხარის და მოსაზღვრე ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფი არ შედის. ამიტომ, აფხაზეთში არ შეიძლება იყოს ერთი სამხედრო ნაწილი თურქეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, მით უმეტეს რუსეთიდან, რომლის იმპერიული ამბიციები ისტორიულად საყოველთაოდ ცნობილია.

„ჩვენი მოთხოვნების მოწინააღმდეგეები რუსეთის ე.წ. სამშვიდობოების გაყვანის და ლტოლვილთა დაბრუნების მოთხოვნით გაეროსთვის მიმართვას არაპერსპექტიულად მიიჩნევენ მოტივით - გაეროს ფული არ აქვს, რაც, ჩემი აზრით, არგუმენტი არ არის. არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ უსახსრობის მოტივით ლტოლვილთა დაბრუნების ოფიციალურ მოთხოვნაზე სახელმწიფოს გაეროსგან ოფიციალური უარი მიეღო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალეროვნულმა ძალებმა აზიის და აფრიკის კონტინენტზე წარმატებით იმუშავეს. პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ ანგოლელი, შრილანკელი, კონგოელი, ბოსნიელი... ლტოლვილების უმრავლესობა თავიანთ საცხოვრებელს დაუბრუნდნენ", - აცხადებს ბიძინა სავანელი და მეცნიერებს მოუწოდებს, საქართველოს მთავრობა აიძულონ, რათა მობილიზებული იქნას გაეროს, ეუთოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მეგობარი ქვეყნების მატერიალური და ადამიანური რესურსები ზემოთხსენებული მოთხოვნების შესასრულებლად.

ჯერ სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ აქვთ. ერთი შეხედულებით, საქართველომ (ქართველებმა) ფედერალური ურთიერთობა უნდა დაამყარონ აფხაზეთთან (აფხაზებთან) და „სამხრეთ ოსეთთან" (ოსებთან). „შეიძლება თუ არა ოთხმილიონიანმა ქართველმა ხალხმა 90-ათასიან და 60-ათასიან აფხაზურ და ოსურ მოსახლეობასთან ფედერალური ხელშეკრულება გააფორმოს?! ერთნიც და მეორენიც ხომ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ?! იქნება ასეთი ფედერაცია მყარი და გამძლე, არსებობს მსოფლიოში სხვა ასეთი პრეცედენტი? რამდენადაც ვიცი, არა! მაშ, ჩვენ რაღა გვჭირს?!" - უკვირს მეცნიერს.

მისივე განმარტებით, ფედერალიზაციის მომხრეთა ერთი ნაწილის შეხედულებით, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" საქართველოსთან თანაზიარ საწყისებზე ფედერალურმა მოწყობამ რომ არ იყვიროს, ამისთვის თურმე საჭიროა აფხაზებთან და ოსებთან ერთად ქვეყნის ფედერალური მოწყობის სუბიექტებად იქცნენ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიც - ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა. როლანდ თოფჩიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული (ისტორიულ-გეოგრაფიული) ერთეულები ფედერალური ურთიერთობით არასოდეს ყოფილან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

„ნუთუ აფხაზეთისთვის საკმარისი არ უნდა იყოს გაფართოებული ავტონომია, მხოლოდ იმ პირობით, რომ აფხაზებს არაცივილიზებული სამოქალაქო პრივილეგიები არ ექნებათ? დაფიქრება გვმართებს ცხინვალის რეგიონის მოწყობის მხრივაც", - ამბობს როლანდ თოფჩიშვილი და იქვე დასძენს, რომ სამწუხაროდ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ისტორიას ანგარიშს არ უწევს. რაღაც დათმობაზე წასვლა, ალბათ, დაგვჭირდება, მაგრამ ისეთ დათმობაზე არ უნდა წავიდეთ, რომ მომავალში, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საშიშროება შეექმნას.

**მოკლედ...**

## ქართველი იუნკერების გმირულად დაღუპვის 84-ე წლისთავი აღნიშნეს

*(ინტერ-პრესი)* ქართველი იუნკერების დაღუპვიდან 84-ე წლისთავთან დაკავშირებით გუშინ პარლამენტის შენობის წინ აქცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია და ორგანიზაცია „საქართველოს ლეგიონები" არიან.

აქციის ფარგლებში პარლამენტის შენობის წინ საქართველოს ლეგიონერების აღმზრდელებისა და აკადემიის ორი ოცეულის დათვალიერება გაიმართა.

გუშინვე თავდაცვის ეროვნული აკადემიის ეკლესიაში 1921 წელს დაღუპული ოფიცრების და იუნკერების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა.

TELASI

სს „თელასის"
განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო

**ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**23 თებერვალს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**

მუხიანის IV ბ მიკრორაიონის მცხოვრებლებს.